გუშინ გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩები.

„დინამო“ (თბილისი) – „მეტალისტი“ (ხარკოვი) 3:1 (1:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 31 ოქტომბერი.

„დინამო“: გაბელია, ფირცხალავა, ცივაძე, ჭედია (სვანაძე, 88), არზიანი, რევიშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე, ფანცულაია (ქეცბაია, 86), გურული შენგელია.

„მეტალისტი: სივუხა, მახინია, კუზნეცოვი, ვაშჩენკო, პანჩიშინი, დერევინსკი (მალიშენკო, 64), ბურიაკი, ტალკო, იაკუბოვსკი, ტარასოვი, ბარანოვი (იალოვსკი, 66)

მსაჯი ა. სპირინი (მოსკოვი)

დუბლიორები - 2:4. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს კაკილაშვილმა და მიქაშავიძემ.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთათვის ახლა საკავშირო ჩემპიონატის თითოეული მატჩი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. 4 მატჩი - 4 ფინალი ! მის მეტოქეთაგან ყველაზე სუსტი ხარკოვის „მეტალისტი“ გახლდათ, რომელთანაც ჩვენს გუნდს აუცილებელი 2 ქულა ჰქონდა დაგეგმილი. წინ კი გაცილებით უფრო ძნელი თამაშებია კიევის დინამოელებთან (2 მატჩი) და მოსკოვის „სპარტაკთან“ კვლავ და კვლავ დღის წესრიგში დგას თბილისის „დინამოს“ უმაღლეს ლიგაში დარჩენის ძნელი პრობლემა. ჩვენს გუნდს ძალების სრული მობილიზებით მართებს ბრძოლა, ვინაიდან ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან უმაღლესი ლიგის ისეთი ცნობილი გუნდები, როგორიც არიან მოსკოვის „დინამო“, ლენინგრადის „ზენიტი“, ბაქოს „ნეფთჩი“ და სხვანი. ამ მძაფრ მეტოქეობაში დღეს არ არის იმის დრო და საშუალება, ვარკვიოთ განვლილი სეზონის მტყუან-მართალი, ვარკვიოთ ვინ როდის რა შეცდომა დაუშვა. ახლა ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ საბჭოთა ფეხბურთის ელიტაში შევინარჩუნოთ ჩვენი უძველესი, კანონიერი ადგილი, დანარჩენი პრობლემების გასარკვევად დრო გვექნება მხოლოდ მაშინ, როცა უმაღლეს ლიგაში საბოლოოდ განვამტკიცებთ ჩვენს პოზიციებს. საამისოდ აუცილებელი, საჭირო იყო ხარკოვის „მეტალისტთან“ გამარჯვება. როგორც მოგახსენეთ, ეს 2 ქულა თბილისის დინამოელთა სავალდებულო „ასორტიმენტში“ შედიოდა.

დინამოელთ სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა პირველივე წუთებიდანვე ცხადად გამოიკვეთა. უკვე მე-8 წუთზე მარჯვნიდან მოწოდებულ ბურთს შენგელიამ ზუსტად შეუცვალა მიმართულება და ანგარიშიც გაიხსნა.

მეორე ნახევრის 57-ე წუთზე რევიშვილ-ფანცულაია-შენგელიას კომბინაცია ამ უკანასკნელის ეფექტური გოლით დამთავრდა - 2:0. ორი წლის შემდეგ ბურიაკმა თერთმეტმეტრიანით შეამცირა სხვაობა ანგარიშში - 1:2, მაგრამ თბილისელთ შეტევები 57-ე წუთზე კვლავ შენგელიას მესამე გოლით დამთავრდა. 3:1 ასე დამთავრდა თბილელთათვის ეს მეტად მნიშვნელოვანი თამაში.

“ლელო”, 1.11.1987